

# ვაქცინები ადამიანის პაპილომა ვირუსის (HPV) წინააღმდეგ, MenACWY და Tdap

ინფორმაცია მშობლებისთვის და საშუალო სკოლის პირველი კლასის  
მოსწავლეებისთვის

## ამ ბროშურის შესახებ

ეს ბროშურა განკუთვნილია მშობლებისა და მოსწავლეებისთვის და იმედი გვაქვს, რომ მას ერთად წაიკითხავთ.

HSE სკოლის ვაქცინაციის ჯგუფები შეესაბამება HPV, Tdap და Men ACWY ვაქცინების პირველი კლასის ყველა მოსწავლეს - ბიჭებსაც და გოგონებსაც. ჩვენ გვჭირდება, რომ მშობლებმა და მეურვეებმა წაიკითხონ, ხელი მოაწერონ და დაგვიბრუნონ მოკლე ფორმა, რომელიც ადასტურებს, რომ ისინი ეთანხმებიან მათი შვილის მიერ ამ აცრების გაკეთებას. ამ ფორმას ეწოდება "ვაქცინაციაზე თანხმობის ფორმა ბავშვებისთვის, და წყებულ საშუალო სკოლის პირველი წლიდან."

ეს ბროშურა მოგიტოვებთ:

- პირველი კლასის მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ვაქცინების შესახებ - რა დაავადებებისგან იცავენ ისინი და რა დოზებია საჭირო
- სკოლის ვაქცინაციის ჯგუფების ვიზიტების შესახებ
- ხშირი შეკითხვები
- სად შეგიძლიათ მოიძიოთ მეტი ინფორმაცია
- თანხმობის ფორმა

თუკი გაქვთ კითხვა, როგორც მშობელს ან მოსწავლეს ამ ბროშურის რომელიმე ნაწილთან დაკავშირებით, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ვაქცინაციის ჯგუფის წევრს. თქვენი ადგილობრივი ჯგუფის ტელეფონის ნომერი მოცემულია ამ პაკეტში.

## ვაქცინები, რომელთაც გთავაზობთ

ვაქცინა არის ნივთიერება, რომელმაც უნდა გააუმჯობესოს იმუნიტეტი (დაცვა) კონკრეტული დაავადების მიმართ. შემოთავაზებულია სამი ვაქცინა ინფექციური დაავადებებისგან დასაცავად.

**HPV ვაქცინა** გიცავთ ადამიანის პაპილომა ვირუსისგან, რომელსაც შეუძლია კიბოს გამოწვევა გოგონებშიც და ბიჭებშიც.

**MenACWY ვაქცინა** იცავს მენინგოკოკური დაავადების ოთხი ტიპისგან, რომელსაც შეუძლია მენინგიტის (ტვინის გარსის ანთება) ან/და სექტიციემიის (სისხლის მოწამვლა) გამოწვევა.

**Tdap ვაქცინა**, რომელიც იცავს შემდეგი დაავადებებისგან:

- ტეტანუსი (ტეტანუსის ტოქსინის შეუძლია გამოიწვიოს კუნთის მტკივნეული სპაზმები და კრუნჩხვები)
- დიფტერია (ბაქტერია, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს ყელის ტკივილი და სუნთქვის მწვავე უკმარისობა) და
- ყივანახველა (ბაქტერია, რომელიც ცნობილია როგორც ყივანახველა და იწვევს გამძაფრებულ ხველს და ღებინებას)

**HPV ვაქცინა: იცავს კიბოსგან**

**MenACWY ვაქცინა: იცავს მენინგიტისგან**

## Tdap: იცავს ტეტანუსის, დიფტერიისა და ყვიანახველსგან

### სკოლის ვაქცინაციის ჯგუფის ვიზიტები

HSE სკოლის ვაქცინაციის ჯგუფები ეწვევიან სკოლებს მოსწავლეებისთვის აცრების გასაკეთებლად. კეთდება შემდეგი ვაქცინები:

- HPV ვაქცინა
- Tdap ვაქცინა
- MenACWY ვაქცინა

HPV ვაქცინა კეთდება ერთმკლავზე, ხოლო Tdap და MenACWY ვაქცინები მეორე მკლავზე, შუაში სივრცის დატოვებით.

## ვაქცინები - მეტი ინფორმაცია თითოეულს შესახებ HPV ვაქცინა – გოგოებისთვის და ბიჭებისთვის

### რა არის ადამიანის პაპილომა ვირუსი (HPV)?

HPV ნიშნავს "ადამიანის პაპილომა ვირუსს" (human papillomavirus), რომელიც 100-ზე მეტი ვირუსისგან შემდგარ ჯგუფს წარმოადგენს. HPV ვირუსი ძალიან გავრცელებულია; ადამიანთა უმრავლესობა სიცოცხლის განმავლობაში HPV-ის რომელიმე ფორმით მინცი ინფიცირდება. თქვენ შეიძლება გადაგედოთ HPV ვირუსი იმ ადამიანთან სექსუალური ხასიათის აქტივობით, რომელსაც უკვე აქვს ეს ვირუსი.

HPV ინფექციების უმეტესობას მკურნალობა არ სჭირდება. თუმცა, ზოგიერთ ადამიანში HPV ინფექცია შესაძლოა დარჩეს და გამოიწვიოს კიბო. HPV ასევე იწვევს გენიტალურ მეჭეჭებს.

ინფექცია ძალზე ხშირია როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებში, ხოლო ადამიანების 80%-ზე მეტს ხვდება HPV ინფექცია სიცოცხლის განმავლობაში.

HPV ვაქცინა იცავს საშვილოსნოს კიბოსგან და სხვა სიმსივნეებისგან. HPV ვაქცინას ჰქვია გარდასილ 9 (Gardasil 9).

### რატომ კეთდება HPV ვაქცინა?

იმ უნიზაციის ეროვნული საკონსულტაციო კომიტეტი (NIAC) რეკომენდაციას უწევს, რომ 12-დან 13 წლამდე ასაკის ყველა ბავშვმა მიიღოს HPV ვაქცინა სასკოლო ვაქცინაციის პროგრამაში, რათა ისინი დაიცვან HPV-ით გამოწვეული კიბოსგან, როდესაც ისინი ზრდასრულები გახდებიან.

NIAC-ის თქმით, არსებობს კავშირი HPV ინფექციასა და ქალებში საშვილოსნოს ყელის, საშოს და ქალის გარეთა სასქესო ორგანოების კიბოს, ასევე თავისა და კისრის (ხახის უკანა, ენის ძირის და გულნდების ჩათვლით) კიბოს და ანალურ კიბოს შორის მამაკაცებში და ქალებში და პენისის კიბოს შორის მამაკაცებში.

### რომელქვეყნებში კეთდება HPV ვაქცინა?

ახლს უკვე 140 ქვეყანას აქვს HPV ვაქცინის პროგრამა და ამათგან 50-ზე მეტ ქვეყანაში აცრა უკეთდება ბიჭებსაც და გოგოებსაც. ეს ქვეყნები მოიცავს:

□ ავსტრალიას

# HPV, Tdap and MenACWY Leaflet first year Georgian

- იტალიას
- ანალზელანდიას
- ნორვეგიას
- გაერთიანებულსამეფოს
- შვედეთსა და ფინლანდიას

მეტი ინფორმაცია ამ პროგრამების წარმატების შესახებ ხელმისაწვდომია მისამართზე: [www.hpv.ie](http://www.hpv.ie)

HPV ვაქცინა 140-ზე მეტ ქვეყანაში კეთდება კიბოს თავიდან ასაცილებლად  
HPV ვაქცინას სთავაზობენ ბიჭებს და გოგონებს, პირველკლასში.

## რას იმსივნის გამოწვევა შეუძლია HPV-ს?

HPV ვირუსს შეუძლია მთელი რიგი წინა-სიმსივნური დაზიანებების - გადაგვარებული უჯრედების - გამოწვევა როგორც კაცებში, ისე ქალებში. HPV ვირუსი იწვევს:

- თითქმის ყველა სავილსნოს კიბოს
- ქალს გარეთა სასქესო ორგანოების კიბოს 10-დან 5 შემთხვევას
- ვაგინალური კიბოს 10-დან 7 შემთხვევას
- HPV-სთან დაკავშირებული ანალოური კიბოს 10-დან 9 შემთხვევას
- გენიტალური მეტეჯების 10-დან 9 შემთხვევას.

კვლევა მაჩვენებს, რომ HPV ინფექცია ასევე დაკავშირებულია შემდეგ სიმსივნეებთან:

- პირის და ყელის (ორთფარინგის)
- უკანა ტანის (სწორი ნაწლავის)
- პენისის

HPV იწვევს 20-დან 1 სიმსივნეს მთელსოფლოში

ირლანდიაში 550,000-ზე მეტ მოსწავლეს და მთელსოფლოში 100 მილიონ ადამიანს გაკეთებული აქვს HPV ვაქცინა

## HPV ვაქცინის რამდენი დოზა და მჭირდება?

NIAC-მა რეკომენდაცია გაუწია, რომ HPV ვაქცინის მხოლოდ ერთი დოზა საჭიროა ადამიანების უმეტესობისთვის სასკოლ ვაქცინაციის პროგრამის მეშვეობით.

ადამიანებისთვის სუსტი იმუნური სისტემით, HPV ვაქცინის 3 დოზა არის საჭირო. ეს უნდა განიხილოთ ქვენი შვილს სპეციალისტებთან.

საშუალო სკოლის პირველი კლასი ვაქცინის გასაკეთებლად საუკეთესოდროა, ვინაიდან, ის ამ ასაკში ყველაზე ეფექტურია.

## MenACWY ვაქცინა

### რა არის მენინგოკოკური დაავადება?

მენინგოკოკური დაავადება მძიმე დაავადებაა, რომელსაც შეუძლია მენინგიტის (ტვინის გარსის ანთება) და სეპტიციემიის (სისხლს მოწამვლა) გამოწვევა და შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილიც. არსებობს მენინგოკოკური ბაქტერიის სხვადასხვა სახე და ყველა ბავშვს ჩვილობისას გაკეთებული უნდა ჰქონდეს ვაქცინა "C" ჯგუფის მენინგოკოკისგან დასაცავად.

MenACWY ვაქცინა აძლევს იმუნიტეტის "C" ჯგუფის მენინგოკოკისგან დასაცავად. ის ასევე უზრუნველყოფს დამატებით დაცვას მენინგოკოკური ჯგუფებისგან "A", "W" და "Y". გარდა ამისა, ეს ვაქცინა ასევე ამცირებს ამ დაავადების ტარების რისკს, ასე რომ იგი ხელს უწყობს სხვა ადამიანების დაცვასაც.

MenACWY ვაკცინას ეწოდება ნიმენრიქსი (Nimenrix).

ეს ვაკცინა არცავეს მენინგოკოკური ბაქტერიის ყველა ჯგუფისგან, მაგალითად "B" ჯგუფისგან ან სხვა ბაქტერიებისგან, რომელსაც ასევე შეუძლია მენინგიტის გამოწვევა. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ იცოდეთ, რა სიმპტომებს დააკვირდეთ და მიმართოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას.

მენინგოკოკური დაავადება შესაძლოა ძალიან სწრაფად დაიწყოს. სიმპტომები მოიცავს ცხელებას, კისრის გაშეშებას, თავის ტკივილს, სახსრების ტკივილს და გამონაყარს. მენინგოკოკური დაავადება შესაძლოა ნებისმიერ ასაკში განვითარდეს, მაგრამ ყველაზე ხშირად გვხვდება 5 წლამდე ასაკის, განსაკუთრებით 1 წლამდე ასაკის ბავშვებში.

მომდევნო მაღალი რისკის ჯგუფში არიან 15-19 წლის ახალგაზრდები.

MenACWY ვაკცინის რამდენი დოზა და მჭირდება?

Men ACWY ვაკცინის მხოლოდ ერთი დოზაა საჭირო დაცვისთვის.

Tdap ვაკცინა

რა არის Tdap?

Tdap ნიშნავს ტეტანუსს, დიფტერიას და პერტუსისს (ყივანახველს). ეს ვაკცინა იცავს მავნე ბაქტერიებისგან და ტოქსინებისგან. Tdap ვაკცინას ეწოდება ბუსტრიქსი (Boostrix).

ტეტანუსმა შესაძლოა გამოიწვიოს კუნთების მტკივნეული სპაზმები, კრუნჩხვები და ყბის კუნთების სპაზმი (კუნთის სპაზმის გამოპირის გაღების სირთულე), რაც იწვევს სუნთქვის გაძნელებას და სიკვდილს.

დიფტერია არის სერიოზული დაავადება, რომელიც ჩვეულებრივ იწყება ყელის ტკივილით და შესაძლოა სწრაფად განვითარდეს ისე, რომ გამოიწვიოს სუნთქვის პრობლემები. მან შესაძლოა ასევე დააზიანოს გული და ნერვული სისტემა.

პერტუსისი (ყივანახველს) არის დაავადება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს ხველების ხანგრძლივი პერიოდები, ხუთვა დაღებინება, რაც აძნელებს სუნთქვას.

ყველა ეს ინფექცია მძიმე დაავადებაა, რომელმაც შესაძლოა ჰოსპიტალიზაცია გამოიწვიოს.

ყველაზე უარეს შემთხვევებში ამ მდგომარეობამ შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი.

დიფტერიის, ტეტანუსის და ყივანახველს ვაკცინის რამდენი დოზაა საჭირო სრულყოფილი დაცვისთვის?

ექვსი წლის ასაკისთვის ბავშვს გაკეთებული უნდა ჰქონდეს ტეტანუსის, დიფტერიის და ყივანახველს ვაკცინის ოთხი დოზა

რაც ნიშნავს შემდეგს:

- 3 დოზა ჩვილობისას
- ბუსტერ დოზა დაწყებითი სკოლის პირველკლასში

ამ დაავადებების საწინააღმდეგო იმუნიტეტი დროთა განმავლობაში მცირდება, რეკომენდებულია ბუსტერ დოზა დამატებითი დაცვის უზრუნველსაყოფად.

ბუსტერი არის დამატებითი ან შემავსებელი დოზა. ეს არის მათი მეხუთე და საბოლოო დოზა და მათ ხანგრძლივ დაცვას უზრუნველყოფს.

ხუთი დოზა დაასრულებს თქვენს კურსს

## ხშირი კითხვები

### შეიძლება თუ არა მოსწავლემ დაიცადოს ასაკის მომატებამდე, იმისთვის რომ გაიკეთოს HPV, MenACWY ან Tdap ვაქცინა?

HSE-ის სკოლის პროგრამა სთავაზობს HPV, MenACWY და Tdap ვაქცინას საშუალო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეებს. წელს, HSE სთავაზობს მოსახლეობას კიდევ ერთ შესაძლებლობას მიიღონ HPV ვაქცინა Laura Brennan HPV კომპენსირების ვაქცინაციის პროგრამის მეშვეობით. მეტი დეტალები ხელმისაწვდომია ბმულზე [www.hpv.ie](http://www.hpv.ie)

თუმცა, კომპენსირების პროგრამა უნდა დასრულდეს 2023 წლის დეკემბერში, თუკი თქვენ აცრის გასაკეთებლად აირჩევთ მოცდას, სანამ თქვენი შვილი უფრო არ გაიზრდება, თქვენ მოგიწევთ თქვენი შვილი აცრათ თქვენი ექიმით. თუ პედაგოგის (ადგილობრივი ექიმის) დახმარებით და თქვენ მოგიწევთ ადმინისტრაციული გადასახდელს და ვაქცინების საფასურის გადახდა.

### მომცემენ გაკეთებულ აცრების ჩანაწერს?

დიახ. ვაქცინაციის დღეს იმ უნიზაციის პასპორტები განახლება სკოლის ვაქცინაციის ჯგუფის მიერ. თუკი არ გაქვთ იმ უნიზაციის პასპორტი, იმ უნიზაციის ჯგუფის წევრი მოგცემთ მას ვაქცინაციის შემდეგ.

### როგორ შეიძლება მოსწავლეები მოემზადონ ვაქცინაციის დღისთვის?

ვაქცინაციის დღეს, სტუდენტებმა უნდა:

- ისაუბროს
- ატარონ თავისუფალი, მოკლე სახელოებიანი ზედა

### საიდან ვიცით, რომ ვაქცინები უსაფრთხოა?

ყველა ვაქცინა უსაფრთხოა და დადასტურებულია, რომ ისინი იცავენ ადამიანებს სიკვდილისგან და მძიმე დაავადებებისგან.

ვაქცინებს მკაცრად აკონტროლებენ და რეგულარულად ამოწმებენ საერთაშორისო ორგანიზაციები, მათ შორის:

- ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია
- ევროპის მედიკამენტების სააგენტო
- დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრები აშშ-ში

ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის არაერთგზის განუცხადებია, რომ ირლანდიაში გამოყენებული ვაქცინები არის უსაფრთხო და უცნობია მათი რაიმე ხანგრძლივი გვერდითი მოვლენა.

### აქვს თუ არა ვაქცინებს ხანმოკლე გვერდითი მოვლენები?

მოსწავლეების უმრავლესობას ვაქცინების მერე არანაირი პრობლემა არ აქვს. ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლოა ნაწემსარადგილს განუვითარდეს შეშუპება, ტკივილი ან სიწითლე. ზოგიერთ მოსწავლეს შესაძლოა ჰქონდეს თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი ან დაბალი სიცხე. ეს სანერვიულო არ არის, რადგან როგორც წესი, ერთ-ორ დღეში გადის.

### აქვს თუ არა ვაქცინებს ხანგრძლივი გვერდითი მოვლენები?

ხანგრძლივი გვერდითი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

სად შეგიძლიათ მიიღოთ მეტი ინფორმაცია

## HPV, Tdap and MenACWY Leaflet first year Georgian

თუკი გაქვთ რაიმე კითხვები, გთხოვთ, განიხილოთ ისინი თქვენი HSE-ის სკოლის ვაქცინაციის პროგრამის გუნდის წევრთან, თქვენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ექსპანთან ან თქვენს ექიმ-თერაპევტთან (ექიმთან). თქვენ შეგიძლიათ ნახოთ იმ უნიზაციის ჯგუფის საკონტაქტო მონაცემები ამ პაკეტში.

შეგიძლიათ ასევე ეწვიოთ ვებგვერდებს [www.hpv.ie](http://www.hpv.ie) და [www.immunisation.ie](http://www.immunisation.ie) ვაქცინების შესახებ ვიდეოების და ფაქტობრივი მონაცემის სანახავად. ჩვენ გირჩევთ წაიკითხოთ ჩვენს ვებგვერდზე "ფაქტები ვაქცინების შესახებ საშუალო სკოლის დამწყები მოსწავლეებისთვის".

თქვენ შეგიძლიათ ასევე ნახოთ ვაქცინებზე პაციენტთა საინფორმაციო ბროშურების ბმული მისამართზე [www.hpra.ie](http://www.hpra.ie).

მოძებნეთ Gardasil 9 (HPV), Nimenrix (MenACWY) ან Boostrix (Tdap) პაციენტის შესაბამისი საინფორმაციო ბროშურის წასაკითხად.

### თანხმობის ფორმა ვაქცინებისთვის

თქვენ უნდა წაიკითხოთ და ხელი მოაწეროთ ამ პაკეტში მოთავსებულ თანხმობის ფორმას და დაუბრუნოთ ის სკოლს, იმისთვის რომ თქვენს შვილს ვაქცინები გაუკეთდეს სკოლში. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ მოცემული კონვერტი ფორმის სკოლში დასაბრუნებლად.